ხელშეკრულება №06-76/2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 24.06 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით და მეორე მხრივ, *შპს „Geovoice"* წარმოდგენილი მისი დირექტორის **თეონა ბერაძის** სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან 2016 წლის 24 ივნისს დაგეგმილი შეხვედრის ფარგლებში ღონისძიების ორგანიზების, კერძოდ, 15 საკონფერენციო მაგიდის მიკროფონისა და გახმოვანების სისტემის მომსახურებით უზრუნველყოფის შესყიდვა (CPV79952000).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **590,00 (ხუთასოთხმოცდაათი) ლარი.**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ან მისი არყოფნის შემთხვევაში - შესაბამისად უფლებამოსილ პირს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის დრო და ადგილი: 2016 წლის 24 ივნისი. „ტექნოპარკი საქართველოს" საკონფერენციო დარბაზი. მისამართი: ქ. თბილისი, ინოვაციების ქ. N7.
6.2 მიმწოდებელს არ განესაზღვრება მომსახურების გაწევისათვის და ხარვეზების გამოსწორებისათვის დამატებითი ვადა.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი და დროული მომსახურება;
ბ) ღონისძიების დღისათვის უზრუნველყოს აპარატურის განთავსება/მონტაჟი და დასრულების შემდეგ - დემონტაჟი.
გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე უზრუნველყოს ინვენტარით და მომსახურე პერსონალით მომსახურება.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 კონტროლის განმახორციელებელი პირი შესაბამისი დასკვნით ადასტურებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამმართველოს უფროსი ნატალია დგებუაძე.
8.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონტროლი განხორციელდება მიწოდებისთანავე რაც დადასტურება შესაბამისი აქტით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარვეზით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.3 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს მაჟორი

10.1 მხარეებს მოეხსნებათ პასუხისმგებლობა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისთვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გაჩენილი ფორსმაჟორული მდგომარეობით.
10.2 ამ ხელშეკრულების კონტექსტში ზემოთხსენებულ მოვლენებს მიეკუთვნება: სტიქიური უბედურება, ომი ან საომარი მოქმედებები, გაფიცვა დარგში ან რეგიონში, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი (კანონი ან/და კანონქვემდებარე აქტი), ასევე სამაუწყებლო ეთერის ოპერატიული გადაცემა საქართველოს ოფიციალური პირების გამოსვლისთვის, სახელმწიფო მმართველების ოფიციალური ვიზიტის გაშუქება და სხვა გარემოებები, რაც შეუძლებელს ხდის ან/და ართულებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია წარმოადგინოს ტელეარხებიდან ოფიციალური წერილობითი დასაბუთება.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

14. დასკვნითი დებულებები

14.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის, 52 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა №GE24NB0330100200165022 ს/კ №202051224	შპს „Geovoice" მის: ქ. თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. N5ა ტელ:593977944 სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა №GE10BG 000 000 0620830700 ს/კოდი 406046844
მინისტრის პირველი მოადგილე *ქეთევან ნატრიაშვილი*	დირექტორი თეონა ბერაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს „Geovoice"-ს შორის 15 საკონფერენციო მაგიდის მიკროფონისა და გახმოვანების სისტემის მომსახურების (CPV79500000) შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარებისა და კონტროლის აქტზე ხელმომწერი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი:

საზოგადოებასთან ურთიერთობის

დეპარტამენტის უფროსი: /ნატო ასათიანი/ _____

კონტროლის განმახორციელებელი პირი:

პროექტებისა და ღონისძიებების მართვის

სამმართველოს უფროსი: /ნატალია დგებუაძე/ _____

24. 06. 2016 წელი